89 წელი თქვენთან ერთად!

89 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.

გამოცემის საიუბილეო, 90-ე წელი!



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №10 (7063) 16 მაისი 2022 წელი ● Facebook გაზეთი თერჯოლა

მიწის საკუთრების სარეგისტრაციო ყველა მომსახურება საფასურის გარეშე...

საქართველოს ხელისუფლებამ უკანასკნელი წლების განმავლობაში არაერთგზის მიიღო გადაწყვეტილება, რომ მიწის მესაკუთრეებს უფასოდ განეხორციელებინათ მათი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

2022 წლის 1 იანვრიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის განხორციელება დაიწყო, რისთვისაც ტარდება მნიშვნელოვანი, როგორც ორგანიზაციულ-ტექნიკური, ისე საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები.

☞2

საუკუნის პროექტი—საქართველოს მთავარი ავტომაგისტრალის რიკოთის მონაკვეთზე



☞2

რკინიგზა საჰაერო ტრანსპორტის გადაადგილების კომფორტულობისათვის...

ქართველმა რკინიგზელებმა მეტად კარგი და სასარგებლო საქმე გააკეთეს, რეაბილიტაციის შემდეგ გაიხსნა კოპიტნარის რკინიგზის სადგური, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულ ზვიად შალამბერიძესთან, ასევე აღმასრულებელი, საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

☞2

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

მუნიციპალიტეტში ორი ახალი საბავშვო ბაღი შენდება!



აქტიურად მიმდინარეობს საბავშვო ბაღის მშენებლობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის, სოფელ ზედა საზანოში.

ამ დღეებში მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა, მოადგილესთან, მანუჩარ რობაქიძესთან და საზანოს ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთან, გიორგი ჩუბინიძესთან ერთად სამშენებლო სამუშაოები ადგილზე დაათვალიერა და მშენებელი კომპანიის წარმომადგენლისგან დეტალური ინფორმაცია მიიღო.

☞2,3

ამჯერად მაჟორიტარად ანუ ადგილობრივი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების თანამშრომლობის სიკეთეები...

☞4

ჩვენი დიდი მამულიშვილის საიუბილეოდ! დავით კლდიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატები

☞5



დავით კლდიაშვილი-160

რკინიგზა საჰაერო ტრანსპორტის გადაადგილების კომფორტულობისათვის...

1☜

მთავრობის მეთაურს სადგურის რეაბილიტაციის შესახებ ინფორმაცია საქართველოს რკინიგზის გენერალურმა დირექტორმა დავით ფერაძემ მიაწოდა და აღნიშნა, რომ რკინიგზის მაგისტრალური მიმართულებით მოძრავი მატარებლები კოპიტნარის განახლებულ სადგურში გაჩერდებიან. ახალი გაჩერება ქუთაისის აეროპორტის მგზავრებზეა გათვლილი და მათ რკინიგზის განახლებული სადგურიდან ქუთაისის აეროპორტში მისასვლელად დაახლოებით 5 წუთი დასჭირდებათ.

პროექტის ფარგლებში რეაბილიტირდა სადგურის შენობა, როგორც ინტერიერი, ისე ექსტერიერი. მგზავრებს რკინიგზასა და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტს შორის ე.წ. შატლები გადაიყვანენ. შენობა შშმ პირებისთვის ადაპტირებულია.

მოეწყო მოსაცდელი სივრცეები, პარკინგი, საფეხმავლო ხიდი კი გაფართოვდა და რეაბილიტირდა. ხიდზე დამონტაჟებულია სამი ლიფტი, რომელიც ბაქნებსა და რკინიგზის სადგურის შენობას შორის შშმ პირთა დაუბრკოლებელ გადაადგილებას უზრუნველყოფს.

საუკუნის პროექტი ანუ საქართველოს მთავარი ავტომაგისტრალის რიკოთის მონაკვეთზე

1☜

რიკოთის ახალ ჩქაროსნულ მაგისტრალზე 88 ხიდი და 51 გვირაბი პარალელურად შენდება.

რიკოთის ახალი მაგისტრალის მშენებლობის დასრულების შემდეგ, გადაადგილების სიჩქარე, რომელიც ამჟამად 60 კმ/სთ-ია, გაიზრდება და რიგ მონაკვეთებზე თითქმის გაორმაგდება.

51 გვირაბიდან გაჭრილია 16 გვირაბი, სამშენებლო სამუშაოები სრულად უკვე 3 გვირაბსა და 6 ხიდზეა დასრულებული.

გზის მშენებლობაზე, ამჟამად დასაქმებულია 4000-ზე მეტი ადამიანი და დასაქმებულთა დაახლოებით 68% საქართველოს მოქალაქეა.

მაგისტრალის პირველ, 2 კმ-იან ორზოლიან, ხევი-უბისას მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა 2021 წლის სექტემბერში გაიხსნა, ახლად გახსნილი გზის მონაკვეთი მოიცავს 6 ხიდსა და 3 გვირაბს.

რიკოთის უღელტეხილზე, საერთო ჯამში, 51.6 კმ-მდე სიგრძის გზა შენდება, რომელიც 97 ხიდსა და 51 გვირაბს მოიცავს, რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთის მშენებლობა 4 სექციად არის დაყოფილი: ჩუმათელეთი-ხევის 11.6 კმ-იანი მონაკვეთი, ხევი-უბისას 12,2 კმ-იანი მონაკვეთი, უბისა-შორაპანის 13 კმ-იანი მონაკვეთი და შორაპანი-არგვეთას 14,7კმ-იანი მონაკვეთი.

რიკოთის მოდერნიზება მნიშვნელოვანია ქვეყნის საგზაო ქსელის განვითარებისა და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანისთვის. ახალი გზა ითვალისწინებს საგზაო უსაფრთხოების ყველა თანამედროვე სტანდარტს. სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს ურთულეს გეოგრაფიულ მარშრუტზე და ურთულესი საინჟინრო კონსტრუქციებით.

რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოები, რომელთა ჯამური ღირებულება 2.6 მილიარდ ლარამდეა, ეტაპობრივად 2024 წლამდე დასრულდება, გარკვეული მონაკვეთების ექსპლუატაციაში შესვლა უკვე 2022 წლის ბოლოს იგეგმება.

რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოები, რომელთა ჯამური ღირებულება 2.6 მილიარდ ლარამდეა, ეტაპობრივად 2024 წლამდე დასრულდება, გარკვეული მონაკვეთების ექსპლუატაციაში შესვლა უკვე 2022 წლის ბოლოს იგეგმება.



მიწის საკუთრების სარეგისტრაციო ყველა მომსახურება საფასურის გარეშე...

1☜

ამ რეფორმის დაწყების თაობაზე ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთ „თერჯოლას“ გასული თვის ნომერში.

რამდენიმე დღის წინ მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ოლეგ (ბაჩო) თორთლაძემ იმერეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღანელებთან ერთად იმსჯელეს რეფორმის მიმდინარე საკითხებზე იმსჯელეს.

შეხვედრაზე საჯარო რეესტრის წარმომადგენლებმა ადგილობრივი თვითმმართველობის პირველ პირებს მიწის სისტემური რეგისტრაციის შესახებ პრეზენტაცია წარუდგინეს და რეფორმის მიმდინარე და დაგეგმილ აქტივობებზე დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს. მათი შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. საუბარი სოფლებისა და დაბების გამისამართების საკითხსაც შეეხო.

ქვეყნის 59 მუნიციპალიტეტში (ოკუპირებული ტერიტორიებისა და თვითმმართველი ქალაქების გარდა) ყველა სარეგისტრაციო მომსახურებას მესაკუთრეები ოფისში მისვლის გარეშე, უფასოდ მიიღებენ. 3 წლის განმავლობაში საჯარო რეესტრი სრულად აზომავს და დაარეგისტრირებს კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს და შექმნის მონაცემთა ერთიან ბაზას.

კონკრეტულ ადმინისტრაციულ ერთეულებში საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების დაწყების განრიგის გაცნობა შესაძლებელია შემდეგ ბმულზე: https://bit.ly/3Igl2nV

მოვუწოდებთ მიწის მესაკუთრეებს—აქტიურად ჩაერთონ რეფორმის განხორციელებაში და ხელი შეუწყონ ამ პროცესის წარმართვას.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“, ტრადიციულად გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

მუნიციპალიტეტში ორი ახალი საბავშვო ბაღი შენდება!

1☜

„ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაა, ამ მიმართულებით სოფელ ზედა საზანოში 100-მდე აღსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს. ამ ეტაპისთვის უკვე მოეწყო სათამაშო, სასადილო, სამზარეულო და საძინებელი ოთახები, პარალელურად გრძელდება გარე ფასადის მოპირკეთება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმ-

დინარე წელს დაგეგმილ პროექტებს შორის, მნიშვნელოვანია ქალაქ თერჯოლის №3 ბაღის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, პროექტი უახლოეს დღეებში დაიწყება და მიმდინარე წელს დასრულდება. პროექტის ფარგლებში 120 აღსაზრდელზე გათვლილი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი აშენდება, რომელიც ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. დამონტაჟდება ცენტრალური გათბობა და ბაღი აღიჭურვება თანამედროვე ინვენტარით, გარდა შიდა ინფრასტრუქტურისა, კეთილმოეწყობა საბავშვო ბაღის ეზო“—განაცხადა ლაშა გოგიაშვილმა.

ორივე საბავშვო ბაღი აღიჭურვება თანამედროვე ინვენტარით, დამონტაჟდება ცენტრალური გათბობა და ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.

ზედა საზანოს საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოებს, რგფ-დან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „მტმ“ ანხორციელებს,რომლის ღირებულება 944483 ლარია. აღნიშნული პროექტი გარდამავალია და 2022 წელს დასრულდება.

ქალაქ თერჯოლის №3 საბავშვო ბაღის მშენებლობას კი ტენდერში გამარჯვებული კომპანია ამხანაგობა „მაქსიმუმი“ განახორციელებს. აღნიშნული პროექტის ღირებულება 2 243 845 ლარია.

იმავე დღესვე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ჩოლაბურის ხიდის მე-8 კმ-დან რუფოთი-ალისუბანი-თუზის საავტომობილო გზაზე მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა. აღნიშნული გზა უმოკლესი მანძილით აკავშირებს სოფლებს ერთმანეთთან.

გაიხსნა სენსორული თერაპიის ოთახი...

თერჯოლაში განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრის (EDEC) ორგანიზებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დღის ცენტრში „საპოვნელა“ სენსორული თერაპიის ოთახი გაიხსნა.

ცენტრის ბაზაზე სენსორული თერაპიის დანერგვა, ბენეფიციარების ემოციური და მენტალური ჯანმრთელობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს, რაც თავის მხრივ, აამაღლებს დღის ცენტრის სარეაბილიტაციო მომსახურების ხარისხს.

სენსორული ოთახის საზეიმოდ გახსნას ასოციაციის წევრებთან ერთად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, გიორგი ბარათაშვილი, მერის მოადგილეები მანუჩარ რობაქიძე და მირზა ქოჩიაშვილი, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

სენსორული ოთახი „ქალთა საერთაშორისო ასოციაცია საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით მოეწყო.

დღის ცენტრები ინდივიდუალურ, ფუნქციურ, აკადემიურ და სოციალურ უნარებზე მორგებულ მომსახურებას აწვდის 6-18 წლის ასაკის ათეულობით ბავშვს და მათ ოჯახებს.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე, გიორგი ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა.

დეპუტატებმა დღის წესრიგით წარმოდგენილი 10 საკითხის შესახებ იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს, ასევე მოისმინეს ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ.

დეპუტატებმა ცვლილება შეიტანეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის პერსონალურ შემადგენლობასა და „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირების) საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №7 დადგენილებაში.

სხდომაზე მათ მხარი დაუჭირეს საკითხს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპული საქართველოს" დაფუძნების შესახებ და დღის წესრიგით წარმოდგენილ სხვა საკითხებს.

სხდომას მუნიციპალიტეტის მერი ლაშა გოგიაშვილი მოადგილეებსა და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდა.

ტემპიც, ხარისხიც...

მუნიციპალიტეტში კვლავ აქტიური მონიტორინგის ქვეშაა მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. ამ მიზნით, მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა, ამჯერად, მოადგილესთან, მირზა ქოჩიაშვილთან და ღვანკითის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელთან, ტარიელ კუბლაშვილთან ერთად, ღვანკითი-ავტობანის დამაკავშირებელ გზაზე მიმდინარე სამუშაოები ადგილზე დაათვალიერა და მშენებელი კომპანიის წარმომადგენლებს პროექტის მიმდინარეობის, ხარისხისა და ვადების დაცვის შესახებ ესაუბრა. ამჟამად ღვანკითი-ავტობანის დამაკავშირებელ გზაზე არმირებული ბეტონის საფარის მოწყობა მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში ასევე მოეწყობა, სანიაღვრე არხები ცხაურები და ბოგირები. სამუშაოები მიმდინარე წელს დასრულდება. ღვანკითი-ავტობანის დამაკავშირებელი გზის სამშენებლო სამუშაოები რეგიონული განვითარების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

სოციალურად დაუცველთა სასიკეთოდ...

„სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების წესის შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურად დაცვის მინისტრის ბრძანების ის მუხლები, რომლებიც შეეხებოდა შემწეობის მთხოვნელი ოჯახების შესაფასებლად შესავსები დეკლარაციების კითხვებს, ხშირად იცვლებოდა და ყველა შემთხვევაში ოჯახის სასარგებლოდ.

ამჯერად კი საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივამ და გადაწყვეტილებამ—სოციალურად დაუცველი ოჯახების დასაქმების შესახებ, ისე, რომ ისინი იღებდნენ როგორც დახმარებას, ისე ხელფასსაც, ინტერესი და კმაყოფილება გამოიწვია არა მარტო სოციალურად დაუცველ ადამიანებში, არამედ თითოეულ იმ პიროვნებაში, ვისთვისაც ღირებულია სხვათა ბედი.

***

ადამიანის დასაქმება, თუნდაც ერთის მნიშვნელოვანია, მაგრამ როცა სოციალურად დაუცველი საქმდება, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი. მითუმეტეს, როცა არ მოუხსნიან დახმარებას. სოციალურად დაუცველ ადამიანებს შეუძლიათ „უშიშრად" ეძიონ სამუშაო, დასაქმებისათვის მიმართონ შესაბამის სამსახურს.

ერთი სოფლის მაგალითი

მარტო სიქთარვაში 6 სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრი დასაქმდა. 1 სოფლის ადმინისტრაციაში, 1 სიქთარვის, 1 ჩხარიეწრის სასაფლაოს მომვლელ-მეპატრონედ, 3 შიგა საუბნო გზების გარემო ხე-მცენარეთა გამკაფველად. ისინი და სხვებიც, რომლებიც დასაქმდებიან მიიღებენ ხელფასსაც და ოთხი წლის განმავლობაში შემწეობასაც, არ მოხდება ამ ოჯახების გადამოწმება სოციალური სააგენტოს მიერ. მერის წარმომადგენლის გიზო ხანიაშვილის თქმით დასაქმდება ყველა, ვისაც ამის სურვილი ექნება, დასაქმებულებს მალე ექნებათ სამუშო ინვენტარი.

ეს არის შემთხვევა, როცა მთელი სოფელი კმაყოფილია. კმაყოფილია დასაქმებული და თითოეული ჩვენგანი. რამდენჯერ გვიოცნებია სასაფლაოს მომვლელზე, ახლა ჩვენ, მოსახლეობასაც მეტი გვმართებს, გვაქვს ვალდებულება—დავეხმაროთ მათ. სიქთარვაში პირველი სამუშაოები შესრულებულია, სამუშაოების მიმდინარეობაზე კონტროლიც ხორციელდება, რაც უნდა გაგრძელდეს.

ჩვენ გამოვხატავთ მადლიერებას. სულხან საბა მადლიერებას ასე განმარტავს—„რომელმან დაიხსოვნოს კეთილგანწყობა მის ზედა". ჩვენ „დავიხსომებთ".

ჟუჟუნა ცხადაძე

დიდი გამარჯვების 77-ე წლისთავისათვის...

სრულიად საქართველოსთან ერთად, თერჯოლის მუნიციპალიტეტმა ტრადიციულად აღნიშნა ფაშიზმზე გამარჯვების მორიგი, 77-ე წლისთავი. 9 მაისს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა, მერის მოადგილეებმა, მანუჩარ რობაქიძემ და მირზა ქოჩიაშვილმა, ასევე ქალაქ თერჯოლის მაჟორიტარმა დეპუტატმა ელისო მურადაშვილმა და საკრებულოს წევრებმა გვირგვინით შეამკეს დიდების მემორიალი და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მეორე, მსოფლიო ომში დაღუპული გმირების ხსოვნას.

იმავე დღეს ხელმძღვანელი პირები მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ვეტერანებს ოჯახებში ესტუმრნენ, ფაშიზმზე გამარჯვების დღე მიულოცეს, საჩუქრები გადასცეს და გმირობისათვის მადლობა გადაუხადეს.

მეორე მსოფლიო ომში თერჯოლიდან 3 533 ადამიანი გაიწვიეს, 2325 დაიღუპა, ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ხოლო შინ დაბრუნებული 1 208 მებრძოლიდან დღეს თერჯოლაში ორი ვეტერანიღა ცხოვრობს, დიმიტრი აბესაძე (ქ.თერჯოლა) და ნიკოლოზ გვენეტაძე (ზედა სიმონეთი) ორივე მათგანს მუნიციპალიტეტის მერის, ლაშა გოგიაშვილის ინიციატივით ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფულადი დახმარება გაეწიათ.

ხაზგასასმელია, რომ საქართველოს მთავრობის განკარგულებით, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები ერთჯერადად 1000 ლარს, ხოლო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები - 500 ლარს მიიღებენ. 1945 წლის 8 მაისს, გერმანიის მიერ კაპიტულაციის გამოცხადების შემდეგ, მეორე მსოფლიო ომი დასრულდა. 9 მაისი კი ფაშიზმზე გამარჯვების დღედ გამოცხადდა. მეორე მსოფლიო ომში საქართველოდან 700 000 ადამიანზე მეტი წავიდა, აქედან ნახევარი უკან არ დაბრუნებულა.

დიდება ფაშიზმთან ბრძოლაში დაღუპულ გმირებს!

***

სამწუხაროდ, ფაშიზმთან მებრძოლი ცოცხალი გმირების რაოდენობა ყოველწლიურად მცირდება, მაგრამ ჯერ კიდევ ჩვენს გვერდით არიან მეორე მსოფლიო ომგამოვლილი ვეტერანები, საუკუნის კბილა კაცები, ზედა სიმონეთელი **ნიკოლოზ გვენეტაძე,** რომელმაც საუკუნეს უკვე გადააბიჯა და თერჯოლელი **დიმიტრი აბესაძე,** რომელიც ახლახანს, 12 მაისს გახდა 98 წლის. სასიამოვნოა, რომ ისინი კვლავ მხნედ გრძნობენ თავს. კიდევ ერთხელ ვულოცავთ გამარჯვების დღეს. დაე, კიდევ დიდხანს იყვნენ ამქვეყნად. ჩვენი მამულის უკვდავებისა და გამარჯვებათა მემატიანე-მთხრობელებად,



ნიკოლოზ გვენეტაძე

დიმიტრი აბესაძე

რომელთა ნათქვამი ასე გარითმა ჩვენმა ჟურნალისტმა **ნუგზარ გამყრელიძემ.**

დიდება უფალს—მტრის ტყვია რომ არ გაგვაკარა,
სულ რაღაც ორი-სამი ჭრილობა გვაკმარა
მაგრამ გული იმაზე გვწყდება, რომ ჰიტლერი დაგვრჩა გაულახავი,
აქეთ ვეძიეთ, თუ იქით, კაცი არ გამოჩნდა მისი დამნახავი.
ბოლოს, როგორც იქნა თვალი დავკარით—
მისმა კივილმა რაიხსტაგი შეძრა.
თავქუდმოგლეჯილი რომელიღაც სამალავში შეძვრა...
როგორც ამბობენ—იქ დალია სული უსახურად.
იყო და დარჩა ეშმაკის მსახურად!
ჩვენ და ჩვენმა ძმადნაფიცებმა ძვირად დავუჯინეთ—
როგორია სხვისი მიწა-წყლის ხელყოფა!
სოროში რომ შეძვრა თავისმოსაჭრელად ისიც ეყოფა.
ახლა, ამ ყველაფრის გახსენება მაინც რთული არი,
კედელზე ცარცით წარწერა დავუტოვეთ, და კიდევ-ფაქსიმილი ორსართულიანი...

***

რა უნდოდა, რას გვერჩოდა, რას გვემართლებოდა,
ხომ იცოდა, რაც დაემართებოდა!

ამჯერად მაჟორიტარად ანუ ადგილობრივი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების თანამშრომლობის სიკეთეები...

ჯემალ ისაკაძე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორი მოწვევის დეპუტატია. 2014-17 წლებში ქართული ოცნების პარტიული სიით გასულმა დეპუტატმა დიდი გამოცდილება შეიძინა. 2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში კი „ქართულმა ოცნებამ“ ამჯერად იგი წარადგინა სიქთარვისა და ახალთერჯოლის მაჟორიტარ კანდიდატად.

იმედი გაამართდა, იგი სიქთარვა-ახალი თერჯოლის მაჟორიტარულ №49.06 საარჩევნო ოლქში საკრებულოს წევრად იქნა არჩეული. „ქართული ოცნების პარტიულ სიაში ჩემი შეყვანა, ამავე დროს ნდობა, მებრძოლა მაჟორიტარული დეპუტატობის მანდატისათვის, ჩემთვის დიდი პატივი იყო. გამარჯვებამ და ამომრჩეველთა ნდობის გამოცხადებამ კი მომცა ძალა, რათა გავამართლო პარტიის და ამომრჩევლის იმედები“—თქვა ჯემალმა და კიდევ ერთხელ გამოხატა მადლიერება, რომ ახალი მოწვევის საკრებულოში საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ იქნა არჩეული.

ჯემალს ჰყავს მეუღლე და ორი შვილი 16 და 18 წლის. მშობლები და ოჯახი მისთვის ყველაფერია, არაფერი არ ანიჭებს ისეთ დიდ სიამოვნებას, როგორც სამუშაო და იმის სურვილი, რაც შეიძლება მეტი გააკეთოს ამომრჩევლების და მთლიანად ორივე სოფლის მოსახლეობისათვის.

ერთი შეკითხვა მაჟორიტარ დეპუტატს

ექვსი თვეა, რაც თქვენ მუნიციპალიტეტის საკრებულოში სოფელ სიქთარვისა და ახალთერჯოლის მაჟორიტარი დეპუტატის მანდატს ატარებთ. ეს დრო საკმარისია გკითხოთ—რა გააკეთეთ, რას აპირებთ მომავალში იმისათვის, რომ ამომრჩევლებმა თქვან—არ შემცდარან თქვენს მხარდაჭერაში.

„ორივე სოფელში ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება. ბევრი კეთდება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში. საქართველოს მთავრობა, შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობა, ბატონი ლაშა გოგიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი გიორგი ბარათაშვილი ხალხის სამსახურშია. ისინი საკრებულოს დეპუტატების და სოფლებში მერის წარმომადგენლების გვერდით არიან ყველა საქმეში და უშუალოდ არიან ჩართულნი შესაბამისი პროექტების დროულად და ხარისხიანად განხორციელების პროცესში.

წელს სიქთარვა-ჩხარიეწერში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მოეწყობა გარე განათება 52 ლამპიონით, სანიაღვრე არხები ცენტრალურ და საუბნო გზებზე, 30 მეტრი სიგრძის ბეტონის სანიაღვრე ახალი ასფალტირებული გზის გასწვრივ, დაიხრეშება შიდა საუბნო გზები, დახმარება გაეწევა ბაგა-ბაღს და სხვა, ასე დაიხარჯება ჩხარიეწერში 16000, სიქთარვაში 20 000 ლარი.

სოფელ ახალთერჯოლაში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 30 000 ლარია გამოყოფილი, რომლითაც სოფლის ცენტრში არსებული ფეხბურთის მოედანი ბალახის საფარით დაიფარება, საბავშვო ბაგა-ბაღში მოეწყობა ატრაქციონები. რაც უმთავრესია—ახდება ახალთერჯოლელთა მრავალწლიანი ოცნება—განხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტი—სოფლის 630 ოჯახი მომარაგდება სასმელი წყლით, პროექტის ღირებულება 2 138 227 ლარია. მშენებლობას ახორციელებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ჯი-ი-ეს“-ი. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ პროექტი წელსვე დასრულდეს. საამისოდ მუნიციპალიტეტის მერის ბატონი ლაშა გოგიაშვილის და საქართველოს პარლამენტში ტყიბული-თერჯოლა-ზესტაფონი-ბაღდათის მაჟორიტარი დეპუტატის ბატონი ბეჟან წაქაძის ძალისხმევა ახალთერჯოლისაკენ არის მიმართული. არაფერს ვიტყვი წინა წელს სოფლებში განხორციელებულ პროექტებზე. მოსახლეობა ხედავს გაკეთებულ საქმეებს. მედიკამენტები, სურსათი, თანადაფინანსება, სახლების აშენება უსახლკარო სოციალურად ხელმოკლე ოჯახებისათვის ჩვეულებრივი ამბავია. მადლიერება სოფელ სიქთარვის და ახალთერჯოლის, მთლიანად მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ არჩევნების გზითაც გამოხატა, ყველაფერში იგრძნობა ხალხის მხარდაჭერა“.

განწყობა არჩევნების შემდეგ...

„მე ვაკვირდები ხალხის განწყობას, იგრძნობა კმაყოფილება გაკეთებული საქმეების გამო, მაგრამ ადამიანები ვართ, მეტი გვჭირდება, თუმცა ამომრჩევლები აცნობიერებენ იმასაც, რომ ყველაფერი ერთად ვერ გაკეთდება, ის ფაქტი, რომ პარტია ქართული ოცნება ათი წელია ხელისუფლებაშია, ხალხის მხარდაჭერის შედეგია. ვფიქრობთ რამდენიმე პროექტზე. ახალთერჯოლაში მოსახლეობას წყლით უზრუნველყოფის მერე ცენტრალური და საუბნო გზების კეთილმოწყობაზე, სიქთარვაში ჩიხლაძეებისა და აბჟანდაძეების, სირბილაძეებისა და ჩაფიძეების უბნების ერთმანეთთან დამაკავშირებელი გზის კეთილმოწყობაზე, სოციალური დახმარებით უკეთ უზრუნველყოფაზე. სურვილი მაქვს, რაც შეიძლება ნაკლები ოჯახი ითხოვდეს სოციალურ დახმარებას, სურსათით, მედიკამენტებით უზრუნველყოფას, აღარ დასჭირდეთ სამკურნალოდ თანადაფინანსება, მაგრამ ვიდრე დასჭირდებათ, კვლავ დავეხმარებით, დავაკმაყოფილებთ მათ საჭიროებებს, რადგან ჩვენ მხარს გვიჭერს ბატონი ლაშა გოგიაშვილი, ტყიბული-თერჯოლა-ზესტაფონი-ბაღდათის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში, ბატონი ბეჟან წაქაძე, საკრებულოს თავმჯდომარე გია ბარათაშვილი, მადლობა მათ“.

***

ქართული ოცნების სიით გასულ საკრებულოს დეპუტატს, ახალთერჯოლელ ბიძინა ბუცხრიკიძეს, რომელიც სიქთარვაში ჯემალთან ერთად ესწრებოდა ჩვენს შეხვედრას, გვითხრა, რომ წელს ახალთერჯოლაში მცხოვრებ გოჩა გამეზარდაშვილს საცხოვრებელ სახლს აუშენებენ, რომლის საპროექტო ღირებულება 42 000 ლარია. ბიძინა ბუცხრიკიძე სოფელ ახალთერჯოლაში მერის წარმომადგენლის გრიგოლ კუბლაშვილის გვერდით დგას, დეპუტატს მეგობრობს და ეხმარება, ერთად აკეთებენ საერთო საქმეს. ჯემალ ისაკაძისადმი მიმართულ კითხვაზე—როგორ გაიმარჯვეთ ახალთერჯოლაში, რატომ დაგიჭირეს მხარი სხვა სოფლის მკვიდრს—ბატონმა ბიძინამ გასცა პასუხი „ჩვენ, ახალთერჯოლელებს გვიყვარს სტუმარი, ამასთან ვხედავდით სიქთარვაში გაკეთებულ საქმეებს, სოფლის მოსახლეობა კეთილგანწყობილი ვიყავით ერთმანეთთან. ჯემალი არის ერთგული, საქმიანი, კარგი მოსაუბრე, ვფიქრობდით, რომ მისი გამოცდილება უკეთესს მდგომარეობას შექმნიდა, თან ახალთერჯოლა მისი დედულეთია. კითხვაზე—რას ფიქრობთ იმ ამომრჩევლებზე, რომლებმაც ხმა არ მოგცათ. ჯემალმა თქვა: ღმერთმა არ ჰქნას მთელ ქვეყანას და მათ შორის თერჯოლის მოსახლეობას ერთი აზრი ჰქონდეს, არჩევნების ხიბლი აზრთა სხვადასხვაობაშია. იმ ამომრჩევლებს, რომლებმაც ხმა არ მომცა, ვპირდები, რომ ვიქნები მათი ხმა საკრებულოში, კანონის ფარგლებში ყველას დავეხმარები, ისედაც, სიკეთეებით, რაც კეთდება, განა ყველა არ სარგებლობს?

როგორ იღებენ გადაწყვეტილებას

ორი სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი ჯემალ ისაკაძე, ქართული ოცნების სიით გასული დეპუტატი ბიძინა ბუცხრიკიძე, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ახალთერჯოლაში გიგა კუბლაშვილი გადაწყვეტილებებს ერთად იღებენ, მსჯელობენ სამომავლო გეგმებზე, ერთად აგვარებენ საერთო საქმეს. მერის წარმომადგენელი სოფელ სიქთარვაში გიზო ხანიაშვილი, თანამშრომლებთან: დავით გამეზარდაშვილთან და ბაჩუკი ბუსკივაძესთან ერთად ყველა საქმეში რთავენ დეპუტატს, ისინი ერთად აძლიერებენ ადგილობრივი ხელისუფლების ინტერესს სოფლისადმი.

***

ბევრ საკითხზე ვისაუბრეთ, დეპუტატისადმი დასმულ კითხვებს გადავუხვიეთ, ითქვა გაკეთებულ საქმეებზე, უფრო მეტი გასაკეთებელ-გამოსასწორებელზე... მიწა მარჩენალია, ყაირათიანი გამოყენება უნდა; სოფელში მრავლად დგას სანაგვე ყუთები, მოგვარებულია ნაგვის გატანის საკითხი, მაგრამ ქუჩებში ნაგავი მაინც ყრია. სოფლის წარმომადგენლობა ხშირად აწყობს დასუფთავების აქციას, მაგრამ მოსახლეობას მეტი მოეთხოვება; რატომ ვხარჯათ წყალს არამიზნობრივად, ზაფხული მოდის, სიქთარვაში 1000 ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო მიწაა, გარკვეული ნაწილი სახლეებთან ახლოსაა, მათ მორწყვას კი ორი ძერული არ ეყოფა.

***

ზემდგომი და ადგილობრივი ხელისუფლების მუდმივი თანადგომა გააუმჯობესებს სოფლების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, განხორციელდება მრავალი პროექტი, სიქთარვის ცენტრალური გზა ასფალტით შეუერთდება ჩხარიეწრის გზას, ახალთერჯოლაში მოწესრიგდება ცენტრალური და საუბნო გზები, დახმარება გაეწევა მოსახლეობის ფართო ფენას. კვლავ აშენდება სახლები, გაძლიერდება ზრუნვა მოქალაქეთა დასასაქმებლად, სოფლის მეურნეობის განვითარება კვლავ იქნება პრიორიტეტი.

ეს ყველაფერი უახლოეს მომავალში უნდა გაკეთდეს, მანამ, სანამ ახალი არჩევნები იქნება და იტყვიან სიქთარველი და ახალთერჯოლელი ამომრჩევლები—არ შემცდარან მუნიციპალიტეტის საკრებულოში თავიანთი მაჟორიტარის არჩევით. ანუ ორივე სოფლის მოსახლეობა ისარგებლებს იმ სიკეთეებით, რასაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანი თანამშრომლობა მიუტანს მათ.

ჟუჟუნა ცხადაძე

ჩვენი დიდი მამულიშვილის საიუბილეოდ!
დავით კლდიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატები

თითქმის სამ ათეულზე მეტი წლის წინ, ქუთაისის (იმერეთის) სამწერლო ორგანიზაციის ინიციატივითა და ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით დიდი ეროვნული საქმე გაკეთდა—დაწესდა ლადო ასათიანის (პოეზია), დავით კლდიაშვილის (პროზა), ნიკო ნიკოლაძის (პუბლიცისტიკა) და დავით კაკაბაძის (ფერწერა) სახელობითი პრემიები.

ბედნიერი ვარ, რომ იმერეთის სამწერლო ორგანიზაციის ხელმძღვანელ თეიმურაზ ლანჩავასა და არაერთ ცნობილ შემოქმედთან ერთად, საკმაოდ სოლიდური პერიოდის განმავლობაში ,ვიდექი შემდგომში ამ სახელმოხვეჭილი და პრესტიჟული კონკურსის სათავეებთან, როგორც საკონკურსო ჟიურის წევრი.

ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ქუთაისის თვითმმართველობის მხარდაჭერით, შემდგომ წლებში აღნიშნულ სახელობით პრემიებს დაემატა ნიკო ლორთქიფანიძის, ტიციან ტაბიძის, ტერენტი გრანელის, ნოდარ დუმბაძისა და ანა კალანდაძის სახელობის ლიტერატურული პრემიები. ანუ გაკეთდა ის, რაც ადრეული წლების განმავლობაში ვერ თუ არ განხორციელებულა...

მიმდინარე წლის, ოქტომბერში, სრულდება 160 წელი ჩვენი სახელოვანი თანამემამულის, დავით კლდიაშვილის, დაბადებიდან (დაბადების დღესთან დაკავშირებით იხილეთ გაზეთი „თერჯოლა“ №19, 2019 წელი. „როდის დაიბადა დიდი მწერალი?“)

ყველა ჩვენგანის ვალია ღირსეულად აღვნიშნოთ ეს თარიღი.

ინფორმირებული ვართ, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია მწერლის საიუბილეოდ, ბევრ საინტერესო ღონისძიებათა განხორციელებას აპირებს, რაც კარგი და მისასალმებელია. ვფიქრობთ, რომ საიუბილეო დღეებს მეტად დაამშვენებს თუ საიუბილეო პროგრამაში ერთ-ერთ მთავარ პუნქტად შევა ერთი მეტად მნიშვნელოვანი, ჩვენი გაზეთის მიერ არაერთგზის გაჟღერებული ინიციატივა—დაწესდეს დავით კლდიაშვილის სახელობის თეატრალური ფესტივალი, რომელიც გაიმართება მწერლის დაბადების დღეებში თერჯოლა-სიმონეთში! ეჭვი არ გვეპარება, რომ მერიის ამ თაოსნობას შემხვედრი თანადგომით დაუჭერს მხარს საქართველოს კულტურის სამინისტრო...

მწერლის საიუბილეო ღონისძიებათა საბოლოო პროგრამას, რომელიც შედგენილი იქნება მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ, ჩვენი გაზეთის საშუალებით გამოვაქვეყნებთ, რაც ამ ღონისძიებებში ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებასა და ჩართულობას შეუწყობს ხელს.

* * *

ამ ეტაპზე კი მკითხველისათვის ვაგრძელებთ დავით კლდიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატების წარდგენას.

ამჯერად გაგაცნობთ პრემიის ერთ-ერთ ლაურეატს, მეზობელი ზესტაფონის რაიონის სოფელ ზოვრეთის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ ზურაბ კვეტენაძეს.

ზურაბ კვეტენაძე დაიბადა 1954 წელს ახალციხეში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ მან დაამთავრა ქუთასის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი.

წლების განმავლობაში (1986-2004 წლებში) იგი მუშაობდა ზესტაფონის რაიონის სოფელ როდინაულისა და ქ. ზესტაფონის №2 საშუალო სკოლებში პედაგოგად, იყო ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილების გამგე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სამსახურის უფროსი. შემდეგ კი მუნიციპალიტეტის მერიის რწმუნებული ქალაქ ზესტაფონში.

ზურაბ კვეტენაძეს დავით კლდიაშვილის სახელობის პრემია 2003 წელს მიენიჭა.

სამწუხაროდ, ეს ნიჭიერი და ორიგინალური ხელწერის შემოქმედი ნაადრევად, 63 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ზურაბ კვეტენაძეს გამოცემული აქვს წიგნები: „რაღაც იწყება“, „ვიდრე ხვალ“, „და დახშა უფალმა კიდობანი“, „ჩვეულებრივი სასწაულები“, „წილი გზის ქვეშეთში“, ლექსებისა და მოთხრობების ერთტომეული „ადამიანი“, სწორედ ამ ერთტომეულიდან გთავაზობთ ორ პატარა მოთხრობას. ვფიქრობთ ისინი აუცილებლად ღრმად ჩააფიქრებენ მკითხველებს.



დავით კლდიაშვილი-160

დავით შალიკაშვილი

„მუხრუჭებმა დაიწივლეს... იდგა შავი, ხახადაფჩენილი გვირაბის პირას და ახლაღა გაახსენდა ქალი... გულზე მოეშვა, გვერდით ედგა, შავი, კოჭებამდე ჩაშვებული თალხი კაბა ეცვა. შავი თავსაფარი ეხურა, თითქოს შავად იყურებოდნენ მწვანე თვალები. უკვე აღარ აშინებდა ბნელი გვირაბი, ქალს ხელი მოჰკიდა და შიგნით შეაბიჯა. ბორძიკით მიდიოდნენ მწვანე, სლიპინა ხავსით დაფარულ გზაზე. გვირაბის ჭერიდან და გვერდებიდან ჟონავდნენ წვეთები, ნელა მიგორავდნენ, ჭუჭყიან კვალს ტოვებდნენ და ხავსს ერეოდნენ. „ეს ცოცხალთა ცრემლია“—ჩაესმა ხმა. გაიხედეს, გვირაბის ნიშში ჭოტი იჯდა.

—შენ ვინ ხარ?—შეეკითხა.

—მცველი ვარ სიკვდილ-სიცოცხლის გვირაბისა.

—ეს გვირაბი?

—სიკვდილ-სიცოცხლის გვირაბია.

—სად არის სიკვდილი?

—წინ, გვირაბის ბოლოს.

—სად არის სიცოცხლე?

—უკან, გვირაბის დასაწყისში.

—მაშ, ჩვენ სიკვდილისაკენ მივდივართ? და მხოლოდ ეს გვირაბია სიკვდილ-სიცოცხლის გზა?

—არა, ადამიანის ყველა გზა, ყველა პატარა ბილიკიც სიკვდილ-სიცოცხლის გზაა, გვირაბი მხოლოდ ერთი მონაკვეთია.

—ძნელი ყოფილა სიკვდილისაკენ მიმავალი გზა.

—ყველა გზა ძნელია, ყველაზე ძნელი კი სიცოცხლისაკენ მიმავალ გზაა.

—სად არის ეს გზა?

—ეს გზა ეს გვირაბია.

—ეს ხომ სიკვდილის გზაა.

—სიკვდილისა და სიცოცხლის გზა ერთია, რადგან სიცოცხლე სიკვდილს ნიშნავს, სიკდილი—სიცოცხლეს.

—და სიკვდილი?

—სიკვდილი არ არის ყველას ხვედრი. სიკვდილი მხოლოდ ერთეულთა ხვედრია, რადგან სუნთქის შეწყვეტა არ არის სიკვდილი, ლეშად ქცევა არ არის სიკვდილი. სიკვდილი სულ სხვაა, სიკვდილი სიცოცხლეა.

—და ჩვენ?

—თქვენ ორივემ დაიმსახურეთ სიკვდილი, დაიმსახურეთ სიყვარულითა და სიძულვილით, დაიმსახურეთ ერთგულებითა და ღალატით, დაიმსახურეთ დაკარგვითა და პოვნით. თქვენ ადამიანები ხართ, დაიმსახურეთ სიკვდილი და ამით დაიმსახურე სიცოცხლე. ადამიანი კი ძალზე ბევრი ჰყავს სიკვდილს, ადამიანი კი ძალზე ცოტა ჰყავს სიცოცხლეს. ადამიანი სიცოცხლეს ყველაზე მეტად სჭირდება. თქვენ იყავით სიკვდილ-სიცოცხლის გვირაბში, იცით სიკვდილი და სიკვდილის ცოდნით იცით სიცოცხლე, თქვენ სიცოცხლეს სჭირდებით. თქვენ უკან უნდა დაბრუნდეთ, უკან, სიცოცხლისაკენ!..

ჭოტმა ფრთები აიქნია და გაქრა...

* * *

თვალები გაახილა, მანქანა უფსკრულის პირზე აღმართულ ერთადერთ ნახევრადმოთხრილ ხეზე იყო მიბჯენილი. ძირს, თვალუწვდენელ სიღრმეში, თეთრ ღოდებს შორის ღმუოდა შავი მდინარე. ქალს გადახედა, უღიმოდა, გადაიხარა, ხელი მოხვია და მაგრად ჩაიკრა მკერდში. რაღაცამ დაიტკაცუნა, ალბათ, კიდევ ერთმა ფესვმა უღალატა ხეს.

ისხდნენ უფსკრულის პირას გაჩხერილ მანქანაში და ერთმანეთს ეხვეოდნენ“.

უდაბნოში მიდიოდა. მხოლოდ თეთრი შარვალი ეცვა. შიშველ სხეულზე წკეპლებივით ურტყამდა მზე მწველ სხივებს. სახეზე წურწურით ჩამოსდიოდა ოფლი. შიშველ ფეხებს ნაკვერჩხლებივით უდაგავდა მცხუნვარე ქვიშა. მიდიოდა, არ იცოდა, სად მიდიოდა, მაგრამ იცოდა, რომ უნდა ევლო. თეთრ ქვიშაზე შავად გაიკლაკნებოდნენ უდაბნოს გველები, მორიელები და ხვლიკები, მომნუსხველად ანათებდნენ ხვატჩამდგარ თვალებს, შორს კი, ჰორიზონტზე, ბედაურებივით მისდევდნენ დიუნები ერთმანეთს. ფეხები კოჭებამდე ეფლობოდა ქვიშაში, ტერფები ტეხდა, ოფლი თვალებში ეწვეთებოდა, ხელისგულით მოიწმენდდა, გამხმარ ენას გამხმარ სასას გაუხახუნებდა და მაინც მიდიოდა. სწყუროდა, საშინლად სწყუროდა, დაღლილი ფეხები სხეულს ვეღარ იმაგრებდნენ... დიუნის ფერდობიდან მეცხრეჯერ რომ ჩამოგორდა, პირქვე დაემხო და ცრემლი წასკდა...

„იტირე, ცოდვის შვილო, უფრო მწარედ იტირე!“—მოესმა ხმა. თავი აიღო და მის წინ კუდზე წამომართული უზარმაზარი შავი გველი დაინახა. გველის ბრძნული, გამჭრიახი თვალები თითქოს სულში უძვრებოდა, არ შეშინებია, იდაყვებზე წამოიწია და შეეკითხა:

—რატომ უნდა ვიტირო?

—ადამიანი ტირილით იბადება ამქვეყნად, ტირილით ცხოვრობს და ტირილით კვდება, ტირილისთვისა ხარ გაჩენილი, ამიტომაც უნდა იტირო.

—რატომაა ტირილისათვის გაჩენილი ადამიანი?

—იმიტომ, რომ ტირილი ტანჯვაა, ადამიანი კი ტანჯვაა, ამიტომაც გიხაროდეს, რომ ტირილი შეგიძლია.

—და მე?

—შენ დღეს გახდი ადამიანი, რადგანაც დღეს პირველად ტირი და პირველად იტანჯები.

—მაშ ის სახლის ნახვა და დაკარგვა...

—იმ სახლის ნახვა და დაკარგვა მხოლოდ დასაწყისი იყო ტანჯვისა.

—სიცოცხლე აღარ მინდოდა და ამიტომაც დავიწყე ტირილი.

—ამიტომაც გამოგეცხადე სწორედ მაშინ, როცა ტირილი დაიწყე, სწორედ მაშინ გინდოდა სიცოცხლე. ვინც ტირის, ის იტანჯება, ადამიანი კი მანამ არის ადამიანი, სანამ იტანჯება, შენ უკვე ადამიანი ხარ.

—მწყურია.

—იგემე ცრემლი შენი და მოიკალ წყურვილი.

ტუჩებზე ენა მოისვა. ცრემლი ენას მოხვდა თუ არა, წყურვილი გაქრა.

—შენ ვინ ხარ?

—მე ვარ სიბრძნე ამ ქვეყნისა, რომელმაც შეგაცნობინათ ადამიანებს ცნობადი.

—და რომ უფალმა დაგწყევლა?

—ყველაფერი უფლის ნებით ხდება. უფალს რომ არ სურვებოდა, განა შეძლებდა ადამიანი, ეგემა აკრძალული ხილი?! უფალს სურდა, ადამიანი ყოფილიყო ადამიანი და ადამიანი გახდა ადამიანი.

—და შენ რომ სძულხარ ადამიანებს?

—ასეთია ნება უფლისა. ადამიანებს ყოველთვის სძულთ ის, ვინც თავს შეაცნობინებთ. მე ვიცოდი ეს და მაინც გავაკეთე ის, რაც უნდა გამეკეთებინა. თვით უფალს კი დაუფასეთ ადამიანებმა? განა კაცობრიობის ცხოვრება მუდმივი უმადურობა და მუდმივი მონანიება არ არის უფლის მიმართ? უფალს კი მაინც უყვარს ადამიანი, რადგან იგი ზეციური მამაა მისი, მამას კი უყვარს თავისი შვილი, თუნდაც იგი უღირსი იყოს. მეც მიყვარხართ ადამიანები, თუმცა ყველაზე ნაკლებად შემიცანით მე, სიბერე ამ ქვეყნისა და მუდმივად მდევნით და მწყევლით.

გველის თვალები საოცრად თბილად და სევდიანად უცქერდნენ. დუმილი...

—ახლა კი წამოდექ ზეზე, წინ გაიხედე!

წამოდგა და გაიხედა. შორს მირაჟივით გამოჩნდა ვაშლის ყვავილებში ჩაფლული სახლი და ოდნავ, სულ ოდნავ ისმოდა შოპენი. სახლი შორს იყო და არც იყო შორს.

„დამიხატე მზე“...

ასე ჰქვია წიგნს, რომლის პრეზენტაცია ამ რამდენიმე დღის წინ გაიმართა თერჯოლის საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზში.

წიგნის ავტორი გახლავთ მარეხი მემანიშვილი. მას თერჯოლაში კარგად იცნობენ როგორც პედაგოგს, საუკეთესო ოჯახის დიასახლისს, დედას და მეუღლეს, იცნობენ აგრეთვე, როგორც შემოქმედ ქალბატონს, რომლის ზოგიერთ ნაწარმოებს მკითხველი ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან იცნობს.

დაიბადა 1967 წელს სიქთარვაში.

თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. ამჟამად მუშაობს თერჯოლის №2 საჯარო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

მისი ლექსები, ნოველები და მოთხრობები იბეჭდება სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში...

„დამიხატე მზე“ მარეხი მემანიშვილის სადებიუტო წიგნია...

აპრილის იმ ლამაზ, მზიან დღეს საჯარო ბიბლიოთეკაში შეიკრიბნენ მარეხის ახლობლები, მეგობრები, საზოგადოების წარმომადგენლები, ლიტერატურის მოყვარულები. პრეზენტაციაზე მოვიდა აგრეთვე წიგნის რედაქტორი ლევან გორვანელი, ფილოსოფოსი, პოეტი, არტკრიტიკოსი, ჟურნალ „აფინაჟის“ რედაქტორი, ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატი.

წიგნი, რომელიც დაიბეჭდა გამომცემლობა „კალმოსანში“, მიმზიდველია გარეგნულად და გარკვეულ თანხვედრაშია მის შინაარსთან...

შეკრებილ დარბაზს მარეხი მემანიშვილი ლამაზი მახასიათებლებით წარუდგინა მისმა მეგობარმა, ასევე შემოქმედმა ახალგაზრდა ქალბატონმა, მეორე საჯარო სკოლის პედაგოგმა თეა რიჟამაძემ.

შემდეგ მარეხმა ისაუბრა იმაზე, თუ როგორ დაიბადა წიგნი...

თქვა, რომ შემოქმედებითი მუზა მოგვიანებით, ანუ 40 წლის ასაკში ეწვია, მანამდე სერიოზულად არ უფიქრია, რაიმე დაეწერა... მერე კი თითქმის ერთბაშად „აეშალა საღერღელი“ და არაერთი მოთხრობა, ლექსი, ნოველა თუ ესსე შეიქმნა, წერა მისთვის განტვირთვის საუკეთესო საშუალებად და ჰობად იქცა.

2012 წელს დარეგისტრირდა ლიტერატურულ საიტზე urakparaki. com როგორც მკითხველი, შემდეგ მიხვდა, რომ იქ არ იყო ის, რაც მას უნდა დაეწერა. ასე დაიწყო ფიქრი და მოთხრობების წერა, წერდა ყველაფერზე, შემდეგ ლექსებშიც მოსინჯა თავი და მშვენივრად გამოუვიდა...

ლიტერატურული კონკურსები ათამამებდა...

პირველი ჰონორარი...

როგორც ამბობს მრავალი ნაწარმოები აქვს დაწერილი, თუმცა ყველა მათგანის მკითხველთა ფართო წრისათვის გასაცნობად ჯერჯერობით მზად არ არის. წიგნში მათგან შერჩეული 20 ნაწარმოები, ანუ 20 მოთხრობა დაიბეჭდა, დანარჩენ ნაწარმოებებზე და აწი დასაწერზე შემდეგ იზრუნებს. ასე, რომ, როგორც ჩანს, მარეხი წერას ვერასოდეს შეელევა...

ლევან გორვანელი, წიგნის რედაქტორი: „ძვირფასებო, დღეს ჩვენ ვიმყოფებით შესანიშნავი პროზაიკოსის მარეხი მემანიშვილის წიგნის „დამიხატე მზე“ პრეზენტაციაზე.

მწერალი ხელოვნურად ვერ გახდები, ადამიანში უნდა იდოს ის აუცილებელი მოწოდება, სურვილი და ა.შ. უმთავრესად კი ალბათ ნიჭი და უნარი საამისოდ. მან გამოგვიგზავნა რამდენიმე ნაწარმოები და ჩვენს ჟურნალში დავბეჭდეთ. შემდეგ მან გააგრძელა წერა და აი ეს წიგნიც მივიღეთ... აქვს კლასიკური ხედვა, ავტორის თხრობის სტილი დახვეწილია და მკითხველს იზიდავს თავისი შინაარსობრივი თუ გამომხატველობითი ესთეტიკით. იგრძნობა ავტორის უშუალობა, რაც ტექსტებს სძენს მომხიბვლელობას...

„დამიხატე მზე“ დიდებული კრებულია“.

„მარეხი იმერული პათოსით აღსავსე ფრაზეოლოგიზმს გვთავაზობს რამდენიმე მოთხრობაში, რაც მეტად ბუნებრივად და მკაფიოდ ჩანს. ვხედავთ და ვხვდებით, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთისადმი ძველი თაობის წარმომადგენლებს იმერეთში, როგორი მზრუნველები და კეთილსინდისიერნი იყვნენ ისინი ერთმანეთის მიმართ, ჭირისა და ლხინის გამზიარებლები. ავტორი დანანებით მიანიშნებს თანამედროვე საზოგადოების გაუბრალოებასა და გაუხეშებაზე, ერთმანეთის ტკივილისა და სიხარულის ზერელე აღქმასა და გაგებაზე. როცა მემანიშვილის მოთხრობებს ვკითხულობთ, იმდენად ახლოს მოდის ჩვენთან მისი სათქმელი, ისე დაუბრკოლებლად და ძალადაუტანებლად აისახება და ინვრცობა ჩვენში ტექსტების პათოსი, რომ ემოციების მოთოკვაც გვიჭირს.

ჩვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა წიგნში წარმოდგენილმა ბოლო მოთხრობამ, რომელშიც ავტორისეული განწყობები და შეფასებები ნათელია. სჩანს გარე საზოგადოების უკომპრომისობა და შეურიგებლობა წყვილის ურთიერთობასთან, სადაც ქალი ასაკით ბევრად ჭარბობს კაცს, თუმცა გრძნობები იმდენად მასშტაბურია ქალისა და მამაკაცის ერთმანეთისადმი, იმდენად ამაღლებული თანაგრძნობაა ერთმანეთის ემოციათა წვდომა და მიმღეობა, რომ ყოველგვარ გარეგან უარყოფით გამოვლინებებს უკუაგდებს და უგულვებელჰყოფს წყვილი... ყოველი წამით ბედნიერების შეგრძნებისა და გათავისების მიუხედავად, განგების მიერ წამოჭრილი პრობლემა გადაუჭრელი რჩება. მოთხრობის განსრულებაც იმას გვიდასტურებს, რომ წყვილის სიყვარული მარადიული აღმოჩნდა...

ვფიქრობთ, რომ მარეხი მემანიშვილის წიგნი „დამიხატე მზე“ საზოგადოების ყურადღებას მიიპყრობს, ინტერესით გაეცნობა მკითხველი ავტორის ნაწარმოებებს და დადებითად განეწყობა“... აღნიშნავს ლევან გორვანელი წიგნის წინასიტყვეობაში.

წიგნის პრეზენტაცია საზეიმო და ამაღლებულ ვითარებაში მიმდინარეობდა, რომლის დროსაც მისი მონაწილენი ულოცავდნენ პროზაიკოსს წიგნის გამოცემას, უსვამდნენ კითხვებს, მაღალ შეფასებას აძლევდნენ მარეხის პიროვნებას, როგორც პედაგოგს, ასევე შესანიშნავი შვილების აღმზრდელს და ამავე დროს როგორც ნიჭიერ შემოქმედს.

ავტორს მიესალმნენ თერჯოლის №2 საჯარო სკოლის პედაგოგები: მადონა ჩხიკვაძე, იზო ვარდოსანიძე, დარეჯან მემანიშვილი; რუსუდან კოვზირიძე—თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი; თამარ ღარიბაშვილი—სამხატვრო საგანმანათლებლო სკოლის დირექტორი; რუსუდან უსუფაშვილი—ქ. თერჯოლის №2 საჯარო სკოლის დირექტორი. გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ მარეხის სახით თერჯოლას ჰყავს ნიჭიერი პროზაიკოსი და ისინი თანამონაწილენი არიან იმ საინტერესო პროცესისა, როცა იწერება მისი ლექსები თუ მოთხრობები.

მანანა მემანიშვილი: „დღეს უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. ჩვენ ბიბლიოთეკაში გავიზარდეთ, დედა ბიბლიოთეკარი იყო. მარეხი სულ რაღაცას წერდა, მე და ჩვენი ძმა დავცინოდით... მისმა შემოქმედებამ დააგვიანა ჩვენი კრიტიკული დამოკიდებულების გამო... ახლა ამას ვნანობ. მარეხი ყოველთვის იყო თავისებური, ნიჭიერი და თავის სამყაროში ჩაკეტილი, ძნელი გამოსაცნობი იყო როდის რას იაზრებდა, რაზე ოცნებობდა. ახლა ყველაზე მეტად, რასაც ვისურვებდი ესაა ჩვენი დედა ხედავდეს ყოველივე ამას“.

მარეხმა სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. აღნიშნა, რომ ადრე თუ გვიან მისი სრული შემოქმედების გაცნობის საშუალება მიეცემა მკითხველს... ამჟამად თავს გრძნობს ბედნიერად, ახარებს თანადგომა კოლეგებისაგან, სრულიად საზოგადოებისაგან და რაც უმთავრესია ოჯახისაგან, შვილებისაგან...„ ვერ ვიტყვი, რომ ამისათვის ვიცოცხლე, მაგრამ მიხარია, რომ უამისოდ არ გარდავიცვალე“... ამბობს.

დიდი მადლობა წიგნის რედაქტორს ლევან გოგაბერაშვილს (გორვანელს), რომ არა მისი დიდი მცდელობა და მონდომება, მე ამ საქმეს არასოდეს შევეჭიდებოდი.

მადლობა ყველას, ვინც გვერდით დამიდგა, გამახალისა, მხარი დამიჭირა, დღე გამილამაზა და ლამაზი სიტყვებით გამანებივრა.

ეს დღე ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო და იქნება!

მადლობა თერჯოლის საჯარო ბიბლიოთეკას, №2 საჯარო სკოლას, მუნიციპალიტეტის კულტურის განყოფილებას, გაზეთ „თერჯოლას“.

საპრეზენტაციო შეკრების თითოეული მონაწილე გულწრფელად ულოცავდა და ახალ-ახალი საინტერესო ნაწარმოების შექმნას თუ წიგნის გამოცემას უსურვებდა...

შემდეგ იყო სადღესასწაულო-საპრეზენტაციო ტორტის დაჭრა და ჭიქა სასმისით მარეხი მემანიშვილის სადებიუტო წიგნის დალოცვა...

როგორც იტყვიან: „ეს ერთი და სხვა მრავალი“.

ვინც უკვე წაიკითხა, „დამიხატე მზე“ დამეთანხმება, რომ არ შეიძლება წიგნმა ფიქრისა და განსჯის, ანუ გარკვეული ემოციების გარეშე დაგტოვოს, სადღაც შორეულ წარსულთან არ დაგაბრუნოს, ან თუნდაც საკუთარი თავი არ აღმოგაჩენინოს ზოგიერთი მოთხრობის გმირის სახით.

წარმატებები მარეხ მემანიშვილს მწერლობის გზაზე... მე როგორც ერთი რიგითი მკითხველი ინტერესით დაველოდები მის ყველა ახალ ნაწარმოებს იმ იმედით, რომ მისი მწერლური მუზა ყველა ასაკისა და გემოვნების მკითხველს მხოლოდ სასურველ ნაწარმოებს შესთავაზებს, ისე როგორც ეს „დამიხატე მზე“-ს შემთხვევაში მოხდა.

მზია ცქიფურიშვილი

მოცალეობის ჟამს საკითხავი...

ღიმილი თერჯოლურ „აქცენტებთან“ ერთად
(მინიატურა)

ღიმილი—განმუხტვის უებარი საშუალება;
ღიმილი—ნევროზისა და დეპრესიის დამთრგუნველი;
ღიმილი—ადამიანის სავიზიტო ბარათი;
ღიმილს—შეუცვლელი როლი აკისრია ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში;
ღიმილში—ვლინდება ადამიანის კულტურა, კეთილშობილება, ინტელექტიც;
ღიმილს—თავისი ფუნქცია აკისრია ჟურნალისტურ საქმიანობაშიც.

ზოგჯერ კალამი რომ გაგვიჯიუტდება და გვერდზე გაგვექცევა ჩვენს ერთგულ მოკავშირედ სწორედ ღიმილს მოვუხმობთ ხოლმე...

დამახასიათებელი მაგალითი: ქარი როცა გვაბეზრებს თავს, რომ გამოვდგეთ და ძახილი მოვრთოთ: რატომ ქრის, რატომ ქრის, რატომ ქრის—ამით რა გამოვა? წუწუნის ნაცვლად ხომ უპრიანი იქნება ჩვენს მშობლიურ იმერულ კილო-კავსა და აქცენტებს მოვუხმოთ არც ისე შორეულ წარსულში ჩვენი ყოველდღიური სალაპარაკო ენის სრულუფლებიან წევრებს რომ წარმოადგენდნენ?

აი, ისინიც, უკვე ყურსგადაჩვეული თერჯოლური არქაიზმები: „ბეჩა“, „ბოშო“, „იმე“, „აპა-არაა“, „აპა-რაი-აჰა“, „ქე-მაინც“, „ქე“, „ნწუ“, „კიდე კაი-რო“ და სხვ.

ეს ყველაფერი, თითქოს არც არაფერი, მაგრამ როგორ წამიერად გვიმსუბუქებს სიმძიმეს!

ბოლოთქმა: თავიდანვე ვაღიარე რომ კალამმა გაჯიუტება იცის. ასე გამოვიდა ახლაც. მსურდა უფრო ლაკონიურად მეთქვა სათქმელი, არადა რამდენჯერ გადავწერ-გადმოვწერე და გადავათეთრე... თვალგანაფულ მკითხველს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა ეს ყველაფერი და ალბათ გულიანადაც ეღიმებოდა.

ავტორის სურვილიც ეს იყო...

ნიორი ცალკე თემაა
ნიორზე ყველამ ყველაფერი ვიცით

და, მაინც, ერთხელ კიდევ ჩავავლოთ თვალი მის ფენომენს—5000 წლის წინ ნიორი შედიოდა ხეოფსის პირამიდის მშენებელი მონების რაციონში. ძვ.წ. 1550 წლის პაპირუსებში მოცემულია 22 სახის წამლის რეცეპტი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ნიორი. უფრო სწორედ, ეს პრეპარატები დამზადებული ყოფილა ნივრის ფუძეზე.

1954 წელს მეცნიერებმა დაადგინეს—ნივრის წვენი 3 წუთში კლავს ავადმყოფობის გამომწვევ ბაქტერიებს. ეს კი ხდება მასში შემავალი ფიტონციდების მოქმედებით. ნიორი ხელს უშლის ღვიძლში ქოლესტერინის დაგროვებას, ეწინააღმდეგება სისხლძარღვებში ცხიმოვანი ნალექის წარმოქმნას, რაც იმას ნიშნავს, რომ კურნავს ათეროსკლეროზს, ხელს უშლის ნორმალური უჯრედების სიმსივნურ უჯრედებად გარდაქმნას. ასტიმულირებს იმუნურ სისტემებს, უჯრედებს იცავს მძიმე მეტალების ზემოქმედებისაგან.



ნიორი სასწაულმოქმედი მცენარეა. იმისათვის, რომ ჯანმრთელი ვიყოთ და დიდხანს ვიცოცხლოთ—მივირთვათ დღეში 2-3 კბილი ნიორი. შეიძლება მარინადისა და მწნილის სახით, მაგრამ უმჯობესია ნატურალური სახით.
გრიპის ეპიდემიის გაჩენისთანავე სახლში 1-2 ადგილზე აუცილებლად დავდგათ დანაყილნივრიანი თეფში—ვირუსი ოჯახში ფეხს ვერ მოიკიდებს ან ნაკლებად აქტიური იქნება. ამავდროულად ნიორი უნდა მიირთვათ ხოლმე.

ყურადღება: კურდღელი!

დიეტური ხორცი გვინდა?

მოვიშენოთ კურდღელი და გვექნება დიეტური ხორცი.

თანაც... ძალიან იაფად!

ბალახი, თივა, ნედლი (ნეკერი) და ხმელი ხის ტოტები, წიწვოვანი ხეების ტოტებიც კი ზამთრობით, სხვადასხვა ნარჩენებიც.

ერთი დედა ბოცვერი წელიწადში 50-60 ბაჭიას აჩენს.

ერთი წლის განმავლობაში დედალ ბოცვერს შეუძლია 4 სულიანი ოჯახი უზრუნველყოს დიეტური ხორცით.

ვიფიქროთ...

სულ სხვა და სხვა...

— არ დალიოთ გაყინული ან ცივი წყალი. იგი იწვევს ნივთიერებათა ცვლის სწრაფად შენელებას, რაც ზედმეტი წონის მიზეზი ხდება. სასურველია ერთი ან ორი ჭიქა წყალი დალიოთ ძილის წინ და გაღვიძებისთანავე.

— მაისსა და ივნისში ხშირი წვიმები იცის, რაც იწვევს სარეველა მცენარეების ზრდასა და გამრავლებას. ხშირად გვიწევს თოხის გამოყენებით მათი მოცილება. გირჩევთ მასა ხეხილს შემოვუყაროთ და ფეხით მოვტკეპნოთ. იგი ხელს უწყობს ტენის შენარჩუნებას ნიადაგში. ამავე დროს ის ორგანული სასუქიცაა.

— შეგიძლიათ კაკლის გამხმარი ფოთოლი ნაფტალინის მაგივრადაც გამოიყენოთ.

— ყველა სახის პარკოსანი მცენარე ნიადაგს აზოტით ამარაგებს.

— ინდაურის „მოგზაურობა“—ინდაურის „სამშობლო“ ინდოეთი რომ გვეგონა, თურმე ინგლისში თურქული ჰგონიათ. არადა ესპანელებს მექსიკიდან „გაუყოლებიათ ხელს“... ესპანეთიდან ცენტრალური ევროპის ქვეყნებს „მოდებია“... შემდეგ ცივი ალბიონის მიწაზე დაუდგამს ფეხი, იქედან კი ჯერ თურქეთში, ხოლო შემდეგ საქართველოში შემოუღწევია.

რაც შეეხება საცივს, ალბათ მისი ტოლფასი კერძი მსოფლიოს არცერთი ქვეყნის შეფ-მზარეულს არც დასიზმრებია.

— ჭიანჭველები მარწყვის ბუჩქებს ემტერებიან, ამიტომ საჭიროა ბუდეს ნაცარი მოვაყაროთ.

— 1953 წლიდან თბილისის ზღვად წოდებული ხელოვნური წყალსაცავი ერთდროულად რამდენიმე სასარგებლო ფუნქციას „ასრულებს“. აჯანსაღებს დედაქალაქის გარემოს, ემსახურება ცურვისა და გარუჯვის მოყვარულებს. თავისი წვლილი შეაქვს თბილისის წყალმომარაგების საქმეში და ა.შ.

— თუ აუტანელ სიცხეში თავის ტკივილმა შეგაწუხათ გაჭერით ლიმონი და წაისვით შუბლსა და საფეთქლებზე—ტკივილი მალე გაგივლით.

—თუ ფუტკარმა, ან კრაზანამ გიკბინათ, ამან შეიძლება მწვავე ალერგია გამოიწვიოს, ამიტომ ნაკბენი მაშინვე მჭიდროდ უნდა შეკრათ მაგარი სახვევით. ნაკბენზე ყინული უნდა დაიდოთ და ექიმს გამოუძახოთ.

— ეს ყველამ იცით, მაგრამ მაინც შეგახსენებთ—ნუ წაგძლევთ სული და ყვავილობის დროს ვაზს არ შეეხოთ. როგორც კი მარცვალი დამსხვილდება—უკვე შეიძლება ზედმეტი ფოთლების (ბიჭა-ბიჭა და სხვა) შეცლა.

— მცენარეების გამოკვება წუნწუხით ივლისშიც შეიძლება.

კედლის კალენდარი — კედლის ენციკლოპედია...

ყოველდღიურად თითო ფურცელს მოვაცლით ხოლმე. ეს ფურცლები ჭრელა-ჭრულა ამბებით გვართობენ, მერე ჭრელი პეპელასავით იკარგებიან, არავინ იცის, სად...

ზოგს გაუმართლებს და რომელიმე სქელტანიანი წიგნის ყდაში ჰპოვებს თავშესაფარს. ზოგიც, ერთხანს კიდევ განაგრძობს არსებობას ბუხრისთავზე ათასი წვრილმანისთვის განკუთვნილ ნიკოლოზისდროინდელ თუნუქის ყუთში...

არ ვიცი ერთი ასეთი გაყვითლებულ-გაცრეცილი პაპირუსის ფურცელი რომელი წიგნის თაროდან გადმომიყვა ხელს... სასწრაფოდ, აბზაც-აბზაც ჩავავლე თვალი... ახლა, თქვენც გთავაზობთ: ლაზის მიერ თბილისელ მეგობართან გაგზავნილი წერილის საოცარ პწკარედს, რომელმაც შემძრა!

„გაიხარე ძმაო...

შენი წერილი ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე.

არ ვიცი, რით გაგახარო. ვფიქრობდი, რო გასულმა წელმა მნიშვნელოვანი საქმეების გარეშე ჩაიარა, მაგრამ შენმა წერილმა მიმახვედრა, ასე რომ არ ყოფილა სინამდვილეში.

ჩვენ ოდესღაც ერთმანეთს იძულებით დაშორებულთა შვილები ვართ. ჩვენი ისტორია სისხლიანი და მძიმეა, მაგრამ ახლა ერთმანეთის სიხარულითა ვართ სავსე, დროა წარსულზე დარდი მოვიკლათ, მზით განათებულ დღეებში შევიკრიბოთ და ვისაუბროთ.

მეც შენებრ ვფიქრობ. ერთმანეთისთვის, ჩვენი მეგობრობის მომავლისთვის, თუ სულიერად ერთად დავდგებით, ბევრ კარგ საქმეს შევძლებთ.

ქართველო, სისხლო და ხორცო ჩემო! მე ძმა ვარ თქვენი, თქვენი უსაზღვრო სიყვარულით გულსავსე!

ერთმანეთისაგან ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ და სულიერი ერთობის პირველი კედელი ავაშენოთ!

ღმერთმა გაგაძლიეროთ!“

ახლა საქართველოს ენციკლოპედია გადავფურცლოთ

— ვნახავთ, რომ ზოგ გეოგრაფიულ სახელს არასწორი ფორმით წარმოვთქვამთ:

მაგ. სკანდა კი არა—სკანდე.

ხარაგოული კია არა—ხარაგაული.

ზორვეთი არა —ზოვრეთი კი.

ახალთერჯოლა არა—ახალი თერჯოლა კი.

ძალიან ბევრს ჰგონია, რომ ის „იღწვის“ არადა, ის კი არ იღწვის, არამედ იღვწის.

— გაგიკვირდებათ და ისეთი მტარვალი, როგორიც ადოლფ ჰიტლერი იყო, პროფესიით... მხატვარი ყოფილა.

(ხომ წარმოგიდგენიათ როგორი იქნებოდა მისეული დასურათებული: „შვლის ნუკრის ნაამბობი“ ან „იავნანამ რა ჰქმნა“...)

ნუგზარ გამყრელიძე

ნოდარ ფორჩხიძე

75 წლის ასაკში ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა ნოდარ ფორჩხიძე—უსპეტაკესი, მაღალზნეობრივი, სითბოსა და სიყვარულის უშურველად გამღები ადამიანი. კაცი, რომელმაც ამქვეყნიური ცხოვრებიდან წასვლით უსაზღვროდ ატკინა გული ოჯახს—მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, ნაცნობ-მეგობრებს, ახლობლებს, ჭოგნარელებს...

მანანა და დავით
კლდიაშვილები ოჯახით

წლებმა ტკივილი ვერ დააამეს...
ლევან ღიბრაძე



ვფიქრობდი, უბედნიერესი ვიყავი, ასეც იყო... ლევიკო! შენ ალამაზებდი ჩემს ცხოვრებას, ღიმილით, სიყვარულით აღსავსე, კეთილი, სათნო, მოკრძალებული, საუკეთესო შვილი, გულითადი მეგობარი, ძმა, კარგი მეუღლე და კარგი მამა იყავი.

რამდენიმე საათიც ვერ ვძლებდი უშენოდ, სამსახურში წასულიც კი მენატრებოდი, შენს სურათს ვკოცნიდი, ვეფერებოდი...

ახლა კი ათი ტკივილიანი, გაუსაძლისი წელი... ცრემლი, ტკივილი, სევდა, მოუშუშებელი იარა, რომლებსაც დრო ვერ ანელებს.

მიჭირს შენზე წარსულში საუბარი, თუმცა ეს რეალობაა, მწარე სინამდვილე.

2011 წელს მეც მოვკვდი შენთან ერთად, 24 წლის მოულოდნელად გაფრინდი, გაიყოლე ჩემი გული, დამტოვე უდროოდ წუთისოფელში სათნო, კეთილმა, გულთბილმა, წმინდა სულის ადამიანმა.

ლევიკო, დიდი მონატრება, ტანჯვა და ტკივილი დაუტოვე შენს დას, ოჯახს.

ენით უთქმელი სევდა ერგო წილად შენს ლამაზ, უაღრესად კეთილშობილ ცოლს, შვილს—ოთხი წლის ლიკას და ჯერ არდაბადებულ ნინიკოს. მისი დაბადება საფლავთან მოგილოცეს ძმაკაცებმა, ცრემლითა და ვარამით, შენმა ამორჩეულმა ნათლიებმა მონათლეს შენი უნახავი ნინიკო, რომელიც დღეს 10 წლისაა და მამას მხოლოდ სურათებით იცნობს.

სამწუხაროა, რომ ზოგჯერ ბუნებრივი კანონზომიერება ირღვევა, ვერაფერს ცვლი...

იზრდებიან შენს ფუძეზე შენი გოგონები, მიჰყვებიან შენს გაკვალულ გზას, ბევრი კარგი ესმით შენს ვაჟკაცობაზე, პატივს სცემენ შენს ღირსეულ სახელს, თუმცა იზრდებიან უმამოდ, დედის კალთაში. მინდა სასახელოები გაიზარდონ, იზრუნონ ასევე ღირსეულ დედაზე, არ დაივიწყონ შენი ვაჟკაცური სახელი და საქმე. მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა, შენ ყველაფრის შექმნა შეძელი.

ყოველ აღდგომას, ყოველ შენს დაბადების დღეს იკრიბებიან მეგობრები შენს საფლავზე, თვალცრემლიანები გინთებენ წმინდა სანთელს მარადისობაში გარდასულს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს სიცოცხლეზე შეყვარებული შენი სული, მარადისობაში გაფრენილო, ჩვენო მონატრებულო ლევიკო!..

დედა

„წმინდა გიორგის ნათელი ზედ მოსდგომია გორასა...“

რა კარგად უთქვამს სულგანათლებულს ჩვენს წინაპარს—დიახ, დარია თუ ავდარია, მზიანი თუ ღრუბლიანია, ნიავ-ქარი ქრის თუ სიმშვიდეა გოგნის ულამაზეს გორადან, სადაც უფლის ნებით უსპეტაკეს და უწმინდეს მიწაზე წმინდა გიორგის სალოცავი დავანებულა უხვად იფრქვევა წმიდანიდან გადმოსული ნათელი, მადლი და წყალობა...

დიდება უფალს და წმინდა გიორგის ამ ნათელისათვის, მადლისათვის, წყალობისათვის, გაძლიერებისა და რაც მთავარია, უამრავი იმედისათვის, რასაც ყოველ 6 მაისს, გიორგობას და წელიწადის სხვა დღეებშიც, უამრავ ადამიანს უჩენს სურვილს მოლოცვისა და თაყვანისცემისას.

ასეა წელსაც.

ალიონიდან დაიწყო მომლოცველთა მიმოსვლა, თუმცა მორწმუნეთა ერთი ნაწილი ჯერ კიდევ წინა საღამოს ეახლა დიდმოწამე წმინდანის სალოცავს და ღამისთევით აღნიშნა ეს დიდი ქრისტიანული დღესასწაული...

ქრისტიანულ სამყაროში არ მოიძებნება წმინდანი, მოწამე თუ ეკლესიის გამოჩენილი მოღვაწე, რომელიც თავისი პოპულარობით წმინდა გიორგის შეედრებოდეს...

თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი, სიმართლისა და გამარჯვების სიმბოლოა, ადამიანთა ნუგეშია, ავადმყოფთა მკურნალი და ყველა სანუკვარი ოცნების აღმსრულებელი, ამიტომ არის მოფენილი საქართველოს ყველა კუთხე წმინდა გიორგის სახელზე აშენებული რამდენიმე ასეული ეკლესიით და ტაძრით, სადაც მას პატივს მიაგებენ.

თუმცა გიორგობა „გოგნის კარუგდებელზე“ ერთ-ერთი განსაკუთრებულია. საიდან არ მოდიან აქ მორწმუნე-მომლოცველები სანთლებით, მამლებით, ცხვრებით და ა.შ. შეძლებისდაგვარად, შესაწირავებით... ფეხით მიუყვებიან არც ისე პატარა მანძილს, რიგ შემთხვევაში ფეხშიშველიც კი... მოდიან მოხუცები, ქალები და მამაკაცები, დიდები თუ პატარები, ჯანსაღნი თუ სნეულები...

დიახ, მოდიან ლოცვით, პირჯვრის წერით, იდუმალი ფიქრებით და თხოვნით უფლისადმი... წმინდა გიორგი ხომ სასწაულმოქმედია, მან უნდა მოახდინოს სასწაული, განკურნოს ავადმყოფები, გააძლიეროს ადამიანები რწმენაში და მიუტევოს ცოდვები.

თითოეულის ოჯახისა თუ ქვეყნის ჭირ-ვარამის, სატკივარ-სადარდებელის მოგვარება-განკურნებაში წმინდა გიორგი უსათუოდ შეეწევა მათ. ასე ფიქრობენ, ასეც სწამთ, ასე სჯერათ.

მთელი დღე არ წყდება მომლოცველთა ნაკადი, პატარა სალოცავი და მისი შემოგარენი ვერ იტევს მათ სიმრავლეს... ისინიც საათობით, მოთმინებით ელიან თავიანთ რიგს, როგორმე მიუახლოვდნენ, შემოუარონ სალოცავს, ემთხვიონ და სანთლები დაუნთონ, იმედსა და ნუგეშს. ასე გრძელდება გვიან ღამემდე.

წელს იმაზე მეტი მომლოცველი იყო წმინდა გიორგის სალოცავზე, ვიდრე ოდესმე. დიახ, სულ უფრო და უფრო მასშტაბური და პოპულარული ხდება გიორგობა გოგნში. აქვე მორწმუნენი დიდი სულიერი ამაღლებით და უფლისადმი მადლიერების გრძნობით ანთებენ სანთლებს და ათვალიერებენ ახალ ტაძარს, რომლის მშენებლობას 2011 წლის 6 მაისს, გიორგობას ჩაეყარა საფუძველი...

გრანდიოზული შენობა... ულამაზესი არქიტექტურა...

უამრავი უნიკალური ჩუქურთმა...

ყველა კუთხიდან მოსჩანს მთელი ღამით განათებული მისი ულამაზესი სილუეტი...

უფლის ნებით ალბათ მალე შიდა სამუშაოებიც დასრულდება, ტაძარი საბოლოო სახეს მიიღებს და წმინდა გიორგის სახელზე აგებულ კიდევ ერთ ტაძარში მისი მადლი და ნათელი დაივანებს, წირვა-ლოცვა აღევლინება და ყველაფერი წესითა და რიგით წარიმართება... ამის დიდი სურვილი და იმედი აქვს თითოეულ მომლოცველ-დამთვალიერებელს... ყოველივე ეს ხომ ჩვენი, თითოეული თერჯოლელის სიამაყეა.

გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო, მომლოცველნო, ძვირფასო თერჯოლელებო.

მრავალ გიორგობას დაესწარით თქვენ და სრულიად საქართველო!

მზია ცქიფურიშვილი



შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@mail.ru**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872